



საგანმანათლებლო პროგრამა: ქართულად / ინგლისურად: ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration

უმაღლესი განათლების საფეხური: მაგისტრატურა

ფაკულტეტი: ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციის კოდი: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Business Administration

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა (ECTS): 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: გივი დუჩიძე, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:** პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სპეციალობის გამოცდის შედეგების საფუძველზე.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი (B2 დონის შესაბამისი) ან გაიაროს ტესტირება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

აპლიკანტს, რომელსაც განათლება მიღებული აქვს ინგლისურ ენაზე, ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

## პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 2 სასწავლო წელიწადს, 4 სემესტრს. საქართველოს კანონიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ გამომდინარე, პროგრამის შესასრულებლად სტუდენტს ესაჭიროება 120 ECTS (1 კრედიტი უტოლდება 25 საათს,



რომელიც ფარავს როგორც სააუდიტორიო (საკონტაქტო), ასევე დამოუკიდებელ მუშაობას. ყველა სასწავლო კურსი ითვალისწინებს 2 შუალედურ გამოცდას, რომელთაგან თითოეულის ხანგრძლივობა შეადგენს 1 საკონტაქტო სთ-ს, ყოველი სასწავლო კურსი სრულდება დასკვნითი გამოცდით, რომლის ხანგრძლივობაც არ აღემატება 3 სთ-ს.

სამაგისტრო პროგრამა შედგება ორი მოდულისგან:

- პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდული - 75 კრედიტი;
- პროგრამის არჩევითი დისციპლინების მოდული - 15 კრედიტი;
- პროფესიული პრაქტიკა-10 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი -20 კრედიტი.

#### პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის მიზანია:

1. მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომლსაც ექნება ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალურ სფეროებში (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) ღრმა და სისტემური ცოდნა, ბაზრის ცვალებადი და მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით;
2. მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვას და მართვას, ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებას, ექნებათ მენეჯერული აზროვნებისა და მეცნიერული კვლევის კულტურა, კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირების, კვლევისა და მათი გადაჭრის გზების შემუშავების უნარი;
3. პროგრამის კურსდამთავრებულებს განუვითაროს კრიტიკული და ლოგიკური აზროვნების უნარი, ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების მიხედვით შეძლონ არსებული მდგომარეობის შეფასება და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება.

#### პროგრამის სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება:



1. კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, რომელიც აძლევს ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე, პრობლემების გადაჭრის მიზნით, კრიტიკული და ლოგიკურ აზროვნება. ეცოდინება თანამედროვე მენეჯმენტის განმაპირობებელი ფაქტორები (საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები, ბიზნეს გარემო, ორგანიზაციული გარემო), მართვის პროცესის სტრუქტურა, ორგანიზაციული ქცევის გამოწვევები და შესაძლებლობები;
2. ეცოდინება მენეჯერული გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ეკონომიკური თეორიები, მოდელები და საბაზრო სტრუქტურის ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო ინსტრუმენტები; კომპანიის ფინანსური ანალიზისა და შეფასებისათვის საჭირო მეთოდები და ინსტრუმენტები, ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები, ელემენტები და მათი მომზადების მეთოდები;
3. ეცოდინებათ სამომხმარებლო ბაზრების ანალიზისა და შესაბამისი მომსახურების/პროდუქტის შემუშავების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები;

#### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

4. კურსდამთავრებულს შეუძლია შეიმუშაოს და შეაფასოს ბიზნესის სტრატეგიები. თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზზე დაყრდნობით დაგეგმოს, ორგანიზება გაუკეთოს და გააკონტროლოს ბიზნესი, ბიზნესის წარმოების სამართლებრივი ნორმების შესაბამისად. მართოს კომპანიის საოპერაციო პროცესები, მათ შორის შეუძლია კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება, აგრეთვე ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება;
5. შეუძლია თანამედროვე ბიზნეს-სტრატეგიების აგება, ბიზნეს-გეგმის შედგენა და განხორციელებისათვის საჭირო პროცედურების განსაზღვრა; ინდივიდუალური და ჯგუფური ქცევის თავისებურებების გათვალისწინებით ორგანიზაციული პროცესების მართვის სტრატეგიის შემუშავება.
6. ბიზნესის სფეროში პრობლემის იდენტიფიცირება და შესაბამისი პრაქტიკული კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების საფუძველზე პრობლემის გადაწყვეტისთვის ეფექტური ალტერნატივების და/ან რეკომენდაციების განსაზღვრა;

#### **დასკვნის უნარი:**

7. ბიზნესის სფეროში და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებებში შესწავლილი საკითხების ირგვლივ მოძიებული ინფორმაციის, მათ შორის სამეცნიერო კვლევების მონაცემებზე დაყრდნობით, გადაწყვეტილების მიღებისას მოძიებული



ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი, შესაბამისი მეთოდოლოგიის დამუშავება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბება და რეკომენდაციების მომზადება.

#### **კომუნიკაციის უნარი:**

8. ბიზნეს გარემოში, როგორც ინტერპერსონალურ, ასევე ჯგუფურ და სისტემურ დონეზე ეფექტური კომუნიკაცია, სხვადასხვა სახის მონაცემებზე დაყრდნობით წერილობითი ანგარიშების მომზადება და პრეზენტაციების წარდგენა.

#### **სწავლის უნარი:**

9. სტუდენტს შეუძლია ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული განვითარების მიზნით უახლესი ლიტერატურის და დარგში არსებული მიღწევების გაცნობა და გამოყენება; საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა და საჭიროებების დამოუკიდებლად განსაზღვრა.

#### **ღირებულებები:**

10. კურსდამთავრებულს შეუძლია შეაფასოს და გააცნობიეროს ბიზნესის სფეროში მოქმედების ეთიკური ნორმები და მორალური პრინციპები. ორგანიზაციული კულტურა და ღირებულებები. კონკურენტულ გარემოში იმოქმედოს ბიზნესის წარმართვის სამართლიანი ხერხებით.

#### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

#### **სწავლების მეთოდები:**

- ინტერაქტიული ლექციები და სემინარები
- ვერბალური და წერითი მეთოდი
- შემთხვევის ანალიზი
- პროექტები



- დებატები
- გუნდური მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი
- თანამშრომლობითი სწავლება
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება
- გონებრივი იერიში/რეფლექსია
- როლური და სიტუაციური თამაშები
- პრეზენტაცია

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლა ეფუძნება თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების უწყვეტ ციკლს.

სწავლების პროცესში, რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას პროფესორს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

**ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ;

**წერითი მუშაობის მეთოდი** - რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ;

**ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი** - ეს უკანასკნელი თავის მხრივ გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.

**პრაქტიკული მეთოდები** - აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, საველე მუშაობა და სხვ.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.



**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**დისკუსია/დებატები** - ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამალვებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** – მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

**თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

**შემთხვევის ანალიზი (Case study)** – აქტიური პრობლემურ-სიტუაციური ანალიზის მეთოდი, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების - სიტუაციების გადაჭრის გზით (ე. წ. "კეისების" ამოხსნა). სწავლების ეს მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. "კეისი" წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის. თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით, მეთოდი ეფექტიანად აწვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს. სტუდენტებს უწვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარი.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგა რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:



- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

**როლური და სიტუაციური თამაშები** – მიეკუთვნება თამაშების ტიპის მეთოდებს, რომლებიც მოიცავენ საქმიან (როლურ) თამაშებს, დიდაქტიკურ ანუ სასწავლო თამაშებს, სათამაშო სიტუაციებს (სიტუაციურ თამაშებს), სათამაშო ხერხებსა და პროცედურებს. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი** - სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან კონკრეტულისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული



ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას. და სხვა მეთოდები, რომლებიც სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებული იყოს სწავლების სხვა მეთოდებიც, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს კონკრეტული კურსების სილაბუსებში.

### სტუდენტის მიღწევების შეფასება:

სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას

ა.ა) “A” ფრიადი-შეფასება 91-100 ქულა;

ა.ბ) “B” ძალიან კარგი-მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

ა.გ) „C“ კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა

ა.დ) “D” დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა

ა.ე) “E” საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასებას:

ბ.ა) (FX)ვერ ჩააბარა- მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება

ბ.ბ) (F)ჩაიწრა-მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.





შუალედური შეფასებების შედეგებით სტუდენტამა უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, არანაკლებ 40%+1=25 ქულა.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის გასვლა სავალდებულოა მიუხედავად იმისა, სემესტრის განმავლობაში სტუდენტის საერთო შეფასება ტოლია, ან აღემატება 51 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასება/ შეფასების მინიმალური ზღვარი დაკამყოფილებული აქვს.

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 40%=16 ქულა.

დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს  $F_x$  მიღების შემთხვევაში: დასკვნითი გამოცდის დამატებით გამოცდაზე სტუდენტს გასვლის უფლება აქვს, თუ სტუდენტს უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში,  $F_x$ -ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მირებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მირების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება  $F-0$

#### **დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:**

კურსდამთავრებულს შეეძლება დასაქმდეს კერძო და საჯარო სექტორში საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე. ასევე შეიძლება გააგრძელოს სწავლა დოქტორანტურაში.



## მატერიალურ-ტექნიკური რესურსი:

**პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** პროგრამა განხორციელდება შპს უმაღლესი სასწავლებლის “ნიუ უნივერსიტის“ ბაზაზე, რომელიც მოიცავს სასწავლო კორპუსს (თბილისი, ქსნის ქ. #35), თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებით, კომპიუტერული რესურს-ცენტრებით და სხვ.

უმაღლესი სასწავლებლის უდიტორიები, ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, როგორცაა მერხი, დაფა, ვიდეო-პროექტორი, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები და სხვ.

ბიბლიოთეკას გააჩნია მდიდარი წიგნადი ფონდი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია აგრეთვე პრინტერით, ქსეროქსით და სკანერით. ბიბლიოთეკაში შესაძლებელია on.line რეჟიმში სახელმძღვანელოებითა და სხვა ინტერნეტრესურსებით სარგებლობა. მათ შორის [EBSCOHost \(http://search.epnet.com\)](http://search.epnet.com), [Cambridge University Journals \(http://journals.cambridge.org\)](http://journals.cambridge.org); ელექტრონული ბიბლიოთეკებით.

**პროგრამის ადამიანური რესურსი:** პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას მიიღებს: უმაღლესი სასწავლებლის „ნიუ უნივერსიტის“ აკადემიური პერსონალი, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალი/მასწავლებლები, რომელთაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება.